ნინო ლაბაძე

არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა

RISEBA-ს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლატვია

ერასმუს+ პროგრამისგან მიღებული გამოცდილება ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონება გახდა: ახალშეძენილი მეგობრები, უცხო გარემოში საკუთარი თავის გამოცდა, უჩვეულო სიტუაციების დამოუკიდებლად გამკლავება, მსოფლმხედველობის შეცვლა და საკუთარი თავის სრულიად სხვა კუთხით შეცნობა. ეს გამოცდილება არა მხოლოდ პროფესიული წინსვლისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ პიროვნული განვითარებისთვისაც. გავიცანი ისეთი ადამიანები, რომლებიც დღესაც ჩემი ყოველდღიურობისა და პროფესიული გარემოს უმნიშვნელოვანესი წევრები არიან.

ამ პროგრამაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლის პერიოდს. ახალშეძენილი ურთიერთობები და პროფესიული ცოდნა საკმაოდ დიდ კვალს ტოვებს სტუდენტების ცხოვრებაზე, რადგან იცვლება პერსპექტივა, მასშტაბი და შესაბამისად საკუთარი შესაძლებლობების შეფასება.

მსგავსი გამოწვევების საშუალებით ვთვლი, რომ სულ ცოტა ერთი ნაბიჯით მაინც უახლოვდები იმ მიზნებს, რომლებიც ბევრი ადამიანისთვის წარმატების საწინდარია, თუმცა გაცვლითი სემესტრი ამ გასავლელ გზას სასიამოვნო პროცესად აქცევს და ცხოვრების დაუვიწყარ მოგონებებს გვჩუქნის.